

საიდ. №71856/03

გ ა დ ა წ ე ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №49-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტოან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ქ. ქ. (თავმჯდომარე), მ. ბ., დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ომრონ კორპორეიშენ“-ის (OMRON Corporation) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №49-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 თებერვლის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №176/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „OMRON“ (საიდ. №71856/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირება ასევე მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ პ კ ო ა :

საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 თებერვლის №176/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი “OMRON” (ლათინური ანბანით შესრულებული) ქდერადობით მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „Otkrytoe Aktsionernoe Obschectvo "Nizhegorodsky khimiko-pharmatsevtishesky zavod" სახელზე რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა „OMA-POH“ (რეგისტრაციისა და გავრცელების თარიღი 2007-03-29, რეგისტრაციის №934263) მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ექსპერტის დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშანი შესრულებულია კირილიცა ანბანით, განცხადებული ნიშანი ქდერადობით აღრევამდე მსგავსია დაპირისპირებული ნიშნისა, ვინაიდან შრიფტებს შორის განსხვავება ვერ ანიჭებს განცხადებულ ნიშანს განმასხვავებელუნარიანობას, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეყნის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ, მე-5 კლასის საქონლის ნაწილში უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „ომრონ კორპორეიშენ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი (OMRON) და დაპირისპირებული ნიშანი (OMA-POH) ქდერადობით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რადგან წარმოდგენილი ნიშანი შედგება ორი ხმოვნისგან და შესაბამისად ორი მარცვლისგან (OM-RON), ხოლო დაპირისპირებული ნიშანი (O-MA-POH) – სამი ხმოვნისგან და შესაბამისად სამი მარცვლისგან, რაც ძირითადად განსაზღვრავს ქდერადობას (ხმოვანი A და მარცვალი MA არ ფიგურირებს წარმოდგენილ ნიშანში). აპელანტის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშანი რეგისტრირებული და საქართველოში

გავრცელებულია მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვლისთვის, რეალურად ამ ორი სასაქონლო ნიშნის მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. სასაქონლო ნიშანი „OMARON“ რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვლისათვის - „მედიკამენტები სამედიცინო მიზნებისთვის; მედიკამენტები ადამიანებისთვის; ფარმაცევტული პრეპარატები; ვიტამინ პრეპარატები; დიეტური დანამატები სამედიცინო დანიშნულებისთვის – უშუალოდ ეხება მედიკამენტებს-წამლებს სამედიცინო-სამკურნალო მიზნებისათვის“. ხოლო სასაქონლო ნიშნის „OMRON“ მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს შემდეგ საქონელს – „სამედიცინო რეაქტივები სისხლის ანალიზისთვის; სამედიცინო რეაქტივები გლუკოზის კონტროლისთვის“, აღნიშნული საქონელი ეხება რეაქტივებს რეაქციაში მონაწილეობისთვის და შემდეგ სამედიცინო ანალიზის ან კონტროლისთვის გამოყენების მიზნით (იგი ტექნიკური ელემენტია და არა უშუალოდ მკურნალობისთვის განკუთვნილი მედიკამენტი). შესაბამისად, საქონლის ჩამონათვალში განსხვავება ცალსახაა და სასაქონლო ნიშნის „OMRON“ მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ რეგისტრაციის შემთხვევაში ადგილი არ ექნება სასაქონლო ნიშნების აღრევას და მომხმარებლის შეცდომაში შევანას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 თებერვლის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №176/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „OMRON“ (საიდ. №71856/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირებას ასევე მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის

პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „OMRON” (საიდ. №71856/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „OMARON” (IR 934263) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება, როგორც ვიზუალურად ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება ვიზუალურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება 5 ლათინურად შესრულებული ასომთავრული ასოსაგან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი შედგება 6 ასოსაგან კირილიცას შრიფტით. სასაქონლო ნიშნების განსხვავებული შრიფტი სძენს ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა ვიზუალური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება ფონეტიკურად, რადგან ორივე ნიშანი მთავრდება „ნ” თანხმოვანზე, ქართული ენის სპეციფიკან გამომდინარე მათ ბოლოში ემატება „ი” ხმოვანი და ქართველი მომხმარებლის მიერ განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ომრონი”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „ომარონი”. იქიდან გამომდინარე, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დამატებით შეიცავს „ა” ხმოვანს, ნიშანში იგი უფრო მკვეთრად ჯდერს, ვიდრე „რ” თანხმოვანი. განსხვავებულია, ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-5 კლასის ისეთი საქონლის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია სამედიცინო რეაქტივებთან (მოწყობილობებთან) სისხლის ანალიზისათვის და გლუკოზის კონტროლისათვის.

ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის ისეთი საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ ფარმაცევტულ პრეპარატებთან (წამლებთან), აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ამცირებს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება მე-5 კლასის საქონელს ფარმაცევტულ პრეპარატებს, რომლის შეძენის დროს მომხმარებელი განსაკუთრებით ყურადღებიანია და როგორც წესი შეიძენს ექიმის დანიშნულებით, რაც კიდევ უფრო მეტად ამცირებს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 თებერვლის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №176/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „OMRON“ (საიდ. №71856/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირებას ასევე მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნისათვის „OMRON“ (საიდ. №71856/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სხიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტოს არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

ð ð ð ð ð ð ð ð ð ð ð ð ð

1. ქომპანიის „ომრონ კორპორეიშენ“-ის (OMRON Corporation) საბჭელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
 2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქართველოს დეპარტამენტის“ უფროსის 2014 წლის 06 თებერვლის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №176/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „OMRON“ (საიდ. №71856/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ
 3. სასაქონლო ნიშანი „OMRON“ (საიდ. №71856/03) დარეგისტრირდეს საქართველოში ასევე მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
 4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

30

ვეკრები:

8. 8.

გ. ქოქინაძე